შპს ბესტ აუდიტი
აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია



LTD BEST AUDIT
AUDIT-CONSULTING COMPANY

ქ. თბილისი

21 სექტემბერი 2021 წელი

შპს ნატახტარი 2005

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა ----------3
ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ----------4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე ----------4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------6
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება ----------7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ----------9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----------10

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „ნატახტარი 2005“-ის მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ნატახტარი 2005“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ნატახტარი 2005“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ნატახტარი 2005“-საგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ნატახტარი 2005“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ნატახტარი 2005“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ნატახტარი 2005“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას. დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. ჩვენი დასკვენი დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ასევე მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბის, ვადების, აუდიტორული მსჯელობის და აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ბელა ვარდიძე /SARAS-A-518452/

შპს ბესტ აუდიტი

21 სექტემბერი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შპს "ნატახტარი 2005" ს/კ 204487616

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2020 წ. მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	933,567	1,771,539	193,082
მოკლევადიანი მოთხოვნები	2	7,319,075	8,560,545	5,802,014
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3	425,954	416,291	424,455
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**8,678,596**	**10,748,375**	**6,419,551**
ფიქსირებული აქტივები	4	4,498,387	233,073	1,319,366
არამატერიალური აქტივები	5	8,959	8,787	11,293
აქტივის გამოყენების უფლება		-	23,065	-
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		**4,507,346**	**264,925**	**1,330,659**
სულ აქტივები		**13,185,942**	**11,013,300**	**7,750,210**
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან	6	6,357,911	6,721,660	6,216,005
გადასახდელი გადასახადები		156,022	222,808	71,008
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება		-	11,504	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		**6,513,933**	**6,955,972**	**6,287,013**
გრძელვადიანი ვალდებულებები		21,011	32,535.00	-
გრძელვადიანი სესხები			-	
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ვალდებულება			12,539	-
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		**21,011**	**45,074**	
სულ ვალდებულებები		**6,513,933**	**7,001,046**	**6,287,013**
საკუთარი კაპიტალი				

საწესდებო კაპიტალი		440.00	440	440
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		3,530,268	3,819,269	1,270,212
გადაფასების რეზერვი		3,120,300	192,545	192,545
სულ კაპიტალი		**6,651,008**	**4,012,254**	**1,463,197**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,185,942**	**11,013,300**	**7,750,210**

შპს ნატახტარი 2005

დირექტორი

21 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნატახტარი 2005

მთავარი ბუღალტერი

21 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს "ნატახტარი 2005" ს/კ204487616
სრული შემოსავლების ანგარიში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები		**41,542,727**	42,258,847
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(38,034,749)	(38,431,712)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		**3,507,978**	**3,827,135**
სხვა საოპერაციო შემოსავლები			
სულ საოპერაციო შემოსავლები:		**3,507,978**	**3,827,135**
მიწოდების ხარჯები		(326,496)	(395,051)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1,361,813)	(1,359,677)
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები		(1,337,529)	(1,337,529)
სულ საოპერაციო ხარჯები:	7	**(3,025,838)**	**(3,092,257)**
ფინანსური შემოსავლები		272,363	241,672
დადებითი საკურსო სხვაობები		275,088	78,130
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		46,071	2,523,350
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	8	**593,522**	**2,843,152**
ფინანსური იჯარის პროცენტი			(3,114)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(22,850)	(6,354)
ფინანსური დანახარჯები		(128,442)	(83,208)
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(574,186)	(117,234)
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები		(251,719)	(308,459)

სულ არასაოპერაციო ხარჯები:	9	(977,197)	(518,369)
მოგება დაბეგვრამდე:		75,393	3,059,661
მოგების გადასახადის ხარჯი			
დივიდენდი		(365,372)	(510,604)
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		(289,979)	2,549,057
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი		2,927,756	
გასული წლის შედეგის კორექტირება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		2,637,777	2,549,057

შპს ნატახტარი 2005

დირექტორი

21 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნატახტარი2005

მთავარი ბუღალტერი

21 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს "ნატახტარი 2005" ს/კ 204487616

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	35402503	38,926,261
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	481	6,895
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(31428054)	(36,970,252)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1648372)	(1,492,203)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება		
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	74213	(39,325)
განაცემები საქველმოქმედო მიზნით		
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1087314)	(1,680,750)
გადახდილი მოგების გადასახადი		
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(14889)	(17,743)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1298568	(1,267,117)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1367105)	(20,756)

ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		2,637,268
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი		
მიღებული პროცენტები	23596	881
მიღებული დივიდენდები		
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან		
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1343509)**	**2,617,393**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან		
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო		
სესხების აღება	4775984	2,643,233
სესხების დაფარვა	(5051304)	(1,694,298)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(14879)	(11,042)
გადახდილი პროცენტები	(126841)	(83,208)
გადახდილი დივიდენდები	(347103)	(485,075)
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან		
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	(66821)	(69,921)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	**(830964)**	**299,689**
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწვ. ზრდა / კლება (ნეტო)	**37933**	**-71508**
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	**(837972)**	**1,578,457**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	**1771539**	**193082**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	**933567**	**1771539**

ნატახტარი 2005

დირექტორი

21 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნატახტარი 2005

მთავარი ბუღალტერი

21 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს "ნატახტარი 2005" ს/კ204487616	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფა-სების რეზერვები	წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2017-თვის	440	552978			553418
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები					
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები					
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		459544			459544
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი			192545		192545
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი					
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში		468401			468401
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	927945	192545	0	927945
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან					
განაწილებული დივიდენდები		(210711)			(210711)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	(210711)	0	0	(210711)
ნაშთი 01.01.2018-თვის	440	1713106	192545	(695038)	1211053
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები					
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები					
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		459544			459544
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი			0		0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი					
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				-207400	
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	440	2172650	192545	-902438	1463197

მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან					
განაწილებული დივიდენდები				0	0
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0		0	0
ნაშთი 01.01.2019-თვის	440	2172650	192545	(902438)	1463197
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები					
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები					
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		3059662			3059662
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი			0		0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი					
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში					
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	3059662	0	0	3059662
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან					
განაწილებული დივიდენდები				(510605)	(510605)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0				
ნაშთი 01.01.2020-თვის	440	5232312	192545	(1413043)	4012254
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები					0
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები			977		
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		75393			75393
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი			2927756		2927756
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი					
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში					
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	75393	2927756	0	3003149
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					0

საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან					
განაწილებული დივიდენდები				(365372)	(365372)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	440	5307705	3121278	(1778415)	6651008

ნატახტარი 2005

დირექტორი

21 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

ნატახტარი 2005

მთავარი ბუღალტერი

21 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნატახტარი 2005“ (შემდგომში კომპანია) დაარსებულია 2005 წლის 29 სექტემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი 204487616, მარეგისტრერიბელი ორგანო-თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი-საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N20; პარტნიორები: კონსტანტინე ომიაძე-65%, ზურაბ კოპაძე 35%. დირექტორი-გიორგი ქუთათელაძე. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია ლევან ტაბუცაძე.

შპს „ნატახტარი 2005“ ახორციელებს ლუდის და უალკოჰოლო სასმელების მიწოდება-დისტრიბუციას თბილისის მაშტაბით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ცალკეული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“). კომპანიის „ფასს“-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, „ფასს“ 1 კომპანიებისგან მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოქმედი რედაქციების რეტროსპექტიულ გამოყენებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობისა და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით. სხვა ვალუტაში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ფინანსური მდგომარეობის საბალანსო მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისაგან მოითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისაგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები საჭიროებენ მუდმივ გადახედვას. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შეფასება მომავალ პერიოდში.

ახალი და გადასინჯული IFRS სტანდარტები, რომელიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

მოცემული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისათვის კომპანის არ იყენებდა ახალ და გადასინჯულ სტანდარტებს, რომლებიც ჯერ არ იყო ძალაში შესული:

ფასს10 და ბსს 28 (შესწორებები)- აქტივების შენატანების გაყიდვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის;

შესწორებები ფასს 3-ში-ბიზნესის განმარტება;

ფასს-17-სადაზღვევო ხელშეკრულებები;

შესწორებები ბასს 1-ში და ბასს 8-მასალის განმარტება;

კონცეპტუალური ჩარჩო-ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალური ჩარჩოებთან დაკავშირებული მითითებების ცვლილებები.

ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბსს 28 (შესწორებები)

ფასს 10-ში და ბასს 28-ში შეტანილი შესწორებები ეხება სიტუაციებს, როდესაც ინვესტორსა და პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის მიმდინარეობს აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია. კერძოდ, შესწორებებით დგინდება, რომ შვილობის კომპანიას კონტროლის დაკარგვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს პარტნიორთან ან ერთობლივ საწარმოსთან ტრანზაქციაში, რომელიც გათვლას აკეთებს კაპიტალის მეთოდის გამოყენებაზე, აღიარებული იქნება მშობლის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ ასოცირებული ან საწარმოს არა-დაკაბშირებული ინვესტორების ინტერესების მოცულობით ანალოგიურად, მოგება და ზარალი, რომელიც გამომდინარეობს რაიმე ყოფილი შვილობილი კომპანიის მიერ (რომელიც გახდა ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო და გათვლას აკეთებს წილობრივი მონაწილეობის გამოყენებაზე) დაკავებული ინვესტიციებიდ გადაანგარიშებიდან სამართლიან ფასამდე, აღიარებული იქნება ყოფილი მშობლის მოგებაში ან ზარალში მხოლოს ამ ახალ ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში არა-დაკავშირებული ინვესტორების ინტერესების მოცულობით. შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ არის განსაზღვრული IASB-ის მიერ. ამსთან, დასაშვებია შესწორებების უფრო ადრე გამოყენება.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სტანდართის ძალაში შესვლა მომავალში გავლენას არ მოახდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 3-ში. ბიზნესის განმარტება

შესწორებები განმარტავს, რომ მაშინ, როდესაც ბიზნესს, როგორც წესი, აქვს თავისი შედეგები, არ არის საჭირო ეს შედეგი საქმიანობის და აქტივების ინტეგრირებული ჯგუფისთვის, რათა მოხდეს მისი დაკვალიფიცირება ბიზნესის სახით. ბიზნესად რომ ჩაითვალოს, საჭიროა რომ როგორც მინიმუმ, აქტივრბი და საქმიანობები შეიცავდეს შეტანილ წვლილს და არსებით პროცესს, რაც ერთობლიობაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგების შექმნის შესაძლებლობას.

გათვალისწინებულია დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც განსაზღვრავს არის თუ არა შეძენილი არსებითი პროცესი.

შესწორებები ნერგავს კონცენტრაციის დამატებით ტესტს, რომელიც იძლევა გამარტივებულ შეფასებას იმის შესახებ, არის თუ არა შეძენილი საქმიანობა და აქტივები, ბიზნესი. კონცენტრაციის დამატებითი ტესტის თანახმად, აქტივობების და აქტივების შეძენილი ნაკრები არ არის ბიზნესი, თუ არსებითად მიღებული მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

შესწორებები პერსპექტიულად ვრცელდება ყველა ბიზნეს კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვის თარიღი არის 2020 წლის პირველი იანვარი ან

თარიღი,რომელიც დაიწყება პირველი წლიური საანგარიშო პერიოდისდაწყებიდან ან შემდეგ. დაშვებულია ადრეული გამოყენებაც.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის რომ, სტანდარტის გამოყენება მომავალში გავლენას არ მოახდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ახალი სტანდართიმ ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას, შეფასების პრეზენტაციისა და გამჟღავნების პრინციპებს და იგი ატარებს უპირატეს ძალას ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებთან შედარებით.

სტანდართი ასახავს ზოგად მოდელს, რომელიც შეცვლილია სადაზღვევო ხელშეკრულებაში უშუალო მონაწილეობის მახასიათებლებით და აღწერილია როგორც ცვლადი საფასურის მიდგომა. ზოგადი მოდელი მარტივდება, თუ გარკვეული კრიტერიუმები, თუ გარკვეული კრიტერიუმები აკმაყოფილებს Premium Allocation მიდგომის გამოყენებით დარჩენილი დაფარვის ვალდებულების შეფასებას.

ზოგადი მოდელი გამოიყენებს მიმდინარე დაშვებებს რათა შეაფასოს სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა, დრო და მასთან არსებული გაურკვევლობა და იგი ასევე მკაფიოდ შეაფასებს ამ გაურკვევლობის ღირებულებას, გაითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და ზეგავლენას პოლისის მფლობელთა ოფციონსა და გარანტიებზე. სტანდარტის დანერგვა სავარაუდოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს სუბიექტის პროცესებსა და სისტემაში და მოითხოვს ბევრად უფრო მეტ კოორდინაციას ბიზნესის მრავალი ფუნქციას შორის, ფინანსების, აქტუარიისა და IT ჩათვლით.

სტანდარტი ეფექტურია წლიური საანგარიშო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. დაშვებულია ადრეული გამოყენება. იგი გამოიყენება რეტროსპექტრულად , იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აღნიშნული არ არის პრაქტიკული. ასეთ დროს გამოყენებულ იქნება შეცვლილი რეტროსპექტრული მიდგომა ან სამართლიანი ღირებულების მიდგომა.

გარადამავალი მოთხოვნების მიზნებისათვის, საწყისი გამოყენების თარიღი არის დასაწყისი იმ შემთხვევაში, თუ წლიური საანგარიშო პერიოდი, რომელშიც სუბიექტი პირველად იყენებს სტანდარტს და გარდამავალი თარიღი არის იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც უშუალოდ უსწრებს პირველადი გამოყენების თარიღს.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული სტანდართის გამოყენება მომავაში გავლენას მოახდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში. მასალის განმარტება

შესწორებები მიზნად ისახავს მოგვცეს მასალის განმარტება ბასს1-ში და უფრო ადვილად გასაგები გახადოს იგი. შესწორება მიზნად ისახავს შეცვალოს ფასეულობის ფუძემდებლური კონცეფცია ფასს სტანდარტებში. ახალი განსაზღვრების ნაწილის სახით შემოღებული იქნა არამატერიალურ ინფორმაციაში მატერიალური ინფორმაციის „გახსნის' კონცეფცია.

მატერიალუტი ზეგავლენის მომხმარებელთა ზღვარი შეიცვალა და ნაცვლად ფორმულირებისა „შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ გახდა „შესაძლოა, გონივრულად მოსალოდნელი გახდესზეგავლენის მოხდენა“.

ბასს 8-ში მოცემული მასალის განმარტებები შეიცვალა მითითებით ბასს 1-ში მოცემული მასალის განმარტებასთან დაკავშირებული მითითებებით. გარდა ამისა ბასს 8 ცვლილებები

შეიტანა სხვა სტანდარტებსა და კონცეფციურჩარჩოში, რომელიც შეიცავს მასალების განმარტებას ან მოიხსენიება ტერმინს „მასალად“, რათა უზრუნველყოს თანამიმდევრულობა.

შესწორებები პრაქტიკულად გამოიყენება ყოველწლიური პერიოდებისათვის რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, რომელი თარიღიც უფრო მალე დადგება.

ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალური ჩარჩოებში მითითებების ცვლილება

შესწორებული კონცეპტუალური ჩარჩოსთან ერთად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 29 მარტს გაქვეყნებისთანავე, IASB-მ ასევე გამოსცა შესწორებები ფასს-ს სტანდარტების კონცეფციურ ჩარჩოებში. დოკუმენტი შეიცავს შესწორებებს შემდეგ სტანდარტებში: IFRS 2, IFRS 3, IFRS 6, IFRS 14, IAS1, IAS 8, IAS 34, IAS 37, IAS 38, IFRIC 12, IFRIC 19, IFRIC 20, IFRIC 22 და SIC 32.

ამასთან , ყველა შესწორება არ ახდენს ამ გამოყენებას განახლებას ჩარჩოს მითითებებსა და ციტირებებთან მიმართებაში, ისინი მიემართებიან გადასინჯულ კონცეპტუალურ ჩარჩოს. ზოგიერთი მათგანი განახლებულია მხოლოდ იმისთვის , რომ მიუთითონ, თუ ჩარჩოს რომელ ვერსიას მოიხსენიებენ ისინი, ან მიუთიტოს, რომ სტანდარტში მოცემული განმარტებები არ განახლებულა განახლებული კონცეპტუალური ჩარჩოში შემუშავებული ახალი განმარტებებით.

შესწორებები, რომლებიც რეალურად განახლებულია, ძალაში შედის აი პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ. დაშვებულია ადრეული გამოყენებაც.

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა:

ფასს16 - იჯარა

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“, ფასიკ 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და ის მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. ზოგადად

მოიჯარე საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის საფუძველზე ხდებოდა. კომპანია გეგმავს ფასს 16-ის რეტროსპექტულად მიღებას, ყველა წინასაანგარიშგებო პერიოდისთვის. ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს 17 და ფასიკ 4-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის გამოყენებით.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

(ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან)

მიზანია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანგარიშგებისთვის ისეთი პრინციპების დადგენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უზრუნველყოფს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მოძრაობის დროსა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესაფასებლად შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით.

საწარმომ აღნიშნული სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა სახის ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ, გარდა:

- თავიანთი წილისა შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, რომლის აღრიცხვა ხდება ფასს10-ის-„კონსოლიდირებული ფინანსურიანგარიშგება“, ბასს 27-ის - „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, ან ბასს 28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - მიხედვით;
- იჯარიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ბასს 17 –„იჯარა“;
- დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამებთან დაკავშირებული და მქირავებლის უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც განეკუთვნება ბასს19-ის „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“ - მოქმედების სფეროს;
- საწარმოს მიერ შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტებისა (ოფციონებისა და გარანტების ჩათვლით), რომლებიც აკმაყოფილებს წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებას ბასს 32-ის შესაბამისად ან რომელთა კლასიფიცირება მოითხოვება წილობრივი ინსტრუმენტად ბასს 32-ის 16ა და 16ბ, ან 16გ და 16დ პუნქტების მიხედვით;
- უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოშობილია (1) სადაზღვევო ხელშეკრულებიდან როგორც განმარტებულია ფასს 4-ში- „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- მყიდველსა და გამყიდველ აქციონერს შორის დადებული ფორვარდული ხელშეკრულებისა, რომელიც ეხება შეძენის ობიექტი საწარმოს ყიდვას ან გაყიდვას და მომავალში შეძენის თარიღისთვის გამოიწვევს საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც განეკუთვნება ფასს3-ის-„საწარმოთა გაერთიანება“- მოქმედების სფეროს;

- სასესხო ვალდებულებებს
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ფასს2–„აქციებზე დაფუძნებული გადახდა“;
- ისეთ დანახარჯებისას ანაზღაურებლად საჭირო გადახდის უფლებებისა, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს ვალდებულებების დასაფარად, რომლებსაც ანარიცხებად აღიარებს ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ -შესაბამისად;
- უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც განეკუთვნება ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოქმედების სფეროს და წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს;

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

(ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან)

სტანდარტის მიზანია იმ პრინციპების დადგენა, რომლებიც საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ამონაგებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, მათი წარმოქმნის ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისთვის. სტანდარტის ძირითადი პრინციპის თანახმად, საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კერძოდ სტანდარტი გვთავაზობს: საწარმომ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღრიცხოს, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

ა) ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების შესრულების ვალდებულება აიღეს;

ბ) საწარმოს შეუძლია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;

გ) საწარმოს შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;

დ) ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება საწარმოს სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკი);

ე) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების თანხის მიღების ალბათობის შესაფასებლად საწარმომ უნდა განიხილოს მხოლოდ მომხმარებლის უნარი და განზრახვა გადაიხადოს მოცემული ანაზღაურების თანხა, მისი გადახდის ვადის დადგომისას. ანაზღაურების ოდენობა რომლის მიღების უფლებაც საწარმოს აქვს შეიძლება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იყოს, კერძოდ, იმ

შემთხვევაში თუ ანაზღაურების სიდიდე ცვალებადია იმის გამო, რომ საწარმომ შეიძლება ფასდათმობა შესთავაზოს მომხმარებელს.

ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტის რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვის და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტის ანალოგიურად. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულება პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანარიცხები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- კომპანიამ აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება ,,გადაცემის წესის'' საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და
- კომპანიამ ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს რომ კომპანიამ ან: (ა) გადასცეს აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ კომპანია აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა კომპანია აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი

ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორები დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან.

მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარდგენილია სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, წმინდა ღირებულებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან

გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც ორგანიზაცია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საეჭვო ვალების რეზერვში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში რომ, რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი ჩამოწერილია ბალანსიდან ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე. ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ. ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო(წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის „ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით". მათ შორის უმცირესის არჩევა განპირობებულია წინდახედულობის პრინციპით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

კომპანიას ძირითადი საშუალებების მიმართ არჩეული აქვს გადაფასების მოდელი, რაც გულისხმობს შემდეგს: „აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია. დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისთვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს".

გადაფასების თარიღისთვის არსებული დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, ხოლო სხვაობის თანხა გადაიანგარიშება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. გადაფასების თანხა აისახება გადაფასების რეზერვში. შესწორებული თანხა რომელიც, წარმოიშობა დაგროვილი ცვეთის გადაფასებით ან იგნორირების შემთხვევაში, შეადგენს აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდის ან შემცირების თანხის ნაწილს.

კომპანია ძირითად საშუალებების ცვეთას აღრიცხავს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
არამატერიალური აქტივები	8%

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილი ცვეთისა და თავდაპირველი ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის რომელშიც გამოცხადდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31დეკემბერი 2020	31დეკემბერი 2019
ლარი/1აშშდოლარი	3,2766	2,8677
ლარი/1ევრო	4,0233	3,2095

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად კომპანია თვლის რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

სხვა შემოსავლები

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ

ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შენიშვნა 1 -ფულადი სახსრები	12/31/2020	12/31/2019
ლარები საბანკო ანგარიშებზე	97,127	150,796
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	507,885	1,545,070
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	**605,013**	**1,695,867**
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	328,554	75,672
სულ ფულადი სახსრები	**933,567**	**1,771,539**

შენიშვნა 2 - მოკლევადიანი მოთხოვნები	12/31/2020	12/31/2019
გაცემული სესხები	1,581,411	1,491,774
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,386,150	5,035,904
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	10,360	84,573
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	12,185	12,612
სხვა მოთხოვნები	2,328,969	1,935,682
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	**7,319,075**	**8,560,545**

შენიშვნა 3 -სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2020	12/31/2019
საქონელი	359,404	335,134
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	66,550	81,156
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	**425,954**	**416,291**

შენიშვნა 4 - ფიქსირებული აქტივები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	კავშირგაბმულობის მოწყობილობები	კომპიუტერი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	-	12,110	10,686	2,627	332,797	358,219
შეძენა						0
გასვლა						0
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2019		(4,342)	(4,818)	(1,173)	(114,813)	(125,146)
						0
ნაშთი 01.01.2020	0	7,768	5,868	1,453	217,984	233,073
შეძენა	1,305,365	1,695	3,108	0	57,099	1,367,267
გასვლა					(32,100)	(32,100)
აფასება (გადაფასება)	2,321,135				613,193	2,934,328
ნაშთი 31.12.2020	3,626,500	9,463	8,976	1,453	856,176	4,502,567
ამორტიზაცია 31.12.2020	0	(2,050)	(1,736)	(394)	0	(4,180)
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2020	0	(6,392)	(6,554)	(1,567)	(114,813)	(129,326)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2019	0	7,768	5,868	1,453	217,984	233,073
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	3,626,500	7,413	7,239	1,059	856,176	4,498,387

შენიშვნა 5 - არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	საოფისე პროგრამები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	14,705	16,621	31,326
შეძენა			0
გასვლა			0
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2019	(9,255)	(13,285)	(22,540)
			0
ნაშთი 01.01.2020	5,450	3,336	8,787
შეძენა	1,314	1,744	3,058
გასვლა			0
ნაშთი 31.12.2020	6,764	5,080	11,844
ამორტიზაცია	(1,176)	(1,708)	(2,885)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2019	5,450	3,336	8,787
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	5,588	3,372	8,959

შენიშვნა 6- ფინანსური იჯარა

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც შეცვალა ბასს-17 და მისი განმარტებები. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღიებულებიანი იჯარებისა).
კომპანიას იჯარის აქვს ფართები აღებული ორ მისამართზე და გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება რომელიც ავტომატურად გრძელდება შემდეგ წელს თუ მხარეებს არ გააჩნიათ პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ. მენეჯმენტის განმარტებით თითოეული ხელშეკულება გარანტირებულად გაგრძელდება სამი წლით 2019 წლიდან.

შენიშვნა 7 - კრედიტორული დავალიანება	12/31/2020	12/31/2019
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	3,639,258	4,278,780
გადასახდელი ხელფასები	69,473	75,904
მოკლევადიანი სესხები	2,649,180	2,358,013
სულ კრედიტორული დავალიანება	6,357,911	6,712,697

შენიშვნა 8 - გადასახდელი გადასახადები	12/31/2020	12/31/2019
გადასახადების ერთიანი ანგარიში	26,202	7,737
გადასახდელი მოგების გადასახადი	75,843	78,053
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	7,991	45,649
გადასახდელი ქონების გადასახდი	12,320	23,668
გადასახდელი დღგ	33,666	67,701
სულ გადასახდელი გადასახადები	156,022	222,808

შენიშვნა 9 - საოპერაციო ხარჯები	12/31/2020	12/31/2019
დაზღვევის ხარჯები	8,970	39,776
ხელფასის ხარჯები	1,157,233	980,689
იჯარის ხარჯები	108,271	15,254
კომუნიკაციიის ხარჯები	11,414	10,354
საოფისე ხარჯები	33,554	37,064
საგადასახადო ხარჯები	10,652	17,632
საკანცელარიო საქონელი	12,659	12,416
ბანკის მომსახურების საკომისიო	11,855	14,022
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	13,612	15,071
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	6,686	62,229
ფინანსური იჯარის ამორტიზაცია		11,532
საქველმოქმედო ხარჯები	152,116	123,606
სხვა ხარჯები	12,082	16,203
მიწოდების ხარჯი	326,496	395,051
საწარმოო ხარჯები	1,183,312	1,341,359
სულ საოპერაციო ხარჯები	3,048,911	3,092,257

შენიშვნა 10 - არასაოპერაციო შემოსავლები	12/31/2020	12/31/2019
ფინანსური შემოსავალი	272,363	241,672
დადებითი საკურსო შემოსავალი	275,088	78,130
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	46,071	2,523,350
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	593,522	2,843,152

შენიშვნა 11 - არასაოპერაციო ზარალი	12/31/2020	12/31/2019
საპროცენტო ხარჯები	128,442	83,208
ზარალი აქტივების გასვლიდან	22,850	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	825,904	432,047
სულ არასაოპერაციო ზარალი	977,197	515,255

სასამართლო დავები

2020 წლის განმავლობაში შპს '' ნატახტარი 2005''-ს სასამართლო დავები არ ჰქონია.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ იმგვარად, რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2020	12/31/2019
მოკლევადიანი მოთხოვნები	7,319,075	8,560,545
ფული და ფულადი ექვივალენტები	933,567	1,771,539
გაცემული სესხები	1,581,411	1,491,774
სულ ფინანსური აქტივები	**9,834,053**	**11,823,857**

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2020	12/31/2019
კრედიტორული დავალიანება	6,357,911	6,721,660
გადასახდელი გადასახადები	156,022	229,157
მიღებული სესხები	2,649,180	
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,163,113**	**6,950,818**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,319,075	8,560,545
ფული და ფულადი ექვივალენტები	933,567	1,695,867
გაცემული სესხები	1,581,411	1,491,774
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	**9,834,053**	**11,748,185**

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები					
ფული და ფულადი ექვივალენტები	933,567				933,567
მოკლევადიანი მოთხოვნები	5,737,663				5,737,663
გაცემული სესხები			1,581,411		1,581,411
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	(3,708,731)				(3,708,731)
გადასახდელი გადასახადები	(156,021.69)				(156,022)
მიღებული სესხები		(2,649,180)			(2,649,180)
ლიკვიდურობის პოზიცია	2,806,478	(2,649,180)	1,581,411	0	1,738,709

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები					
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,695,867				1,695,867
მოკლევადიანი მოთხოვნები	8,560,545				8,560,545
გაცემული სესხები			1,491,774		1,491,774
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					0
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	-6,721,660				-6,721,660
გადასახდელი გადასახადები	-229,157				-229,157
მიღებული სესხები					0
ლიკვიდურობის პოზიცია	3,305,595	0	1,491,774	0	4,797,369

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა

წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2019წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	425,682	507,885		933,567
მოკლევადიანი მოთხოვნები	3,408,694			3,408,694
გაცემული სესხები	1,581,411			1,581,411
ვალდებულებები				0
კრედიტორული დავალიანება	(3,696,647)			(3,696,647)
გადასახდელი გადასახადები	(156,022)			(156,022)
მიღებული სესხები			-2,649,180	(2,649,180)
	1,563,119	507,885	-2,649,180	(578,176)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	226,469	1,545,070		1,771,539
მოკლევადიანი მოთხოვნები				
გაცემული სესხები	1,491,774			1,491,774
ვალდებულებები				0
კრედიტორული დავალიანება	-6,216,004			(6,216,004)
გადასახდელი გადასახადები	-71,009			(71,009)
მიღებული სესხები				0
	(4,568,770)	1,545,070	0	(3,023,700)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ)მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ) კომპანიის ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

ე.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და

დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	2020	2019
უმაღლესი მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	148100	149300

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

-უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

-უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე დაზღვეულია თანამშრომლების ჯანმრთელობა.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

კომპანიის ერთადერთი ძირითადი მომწოდებელი არის სს „ლომისი“ რომლის პროდუქცია არის ბაზარზე კონკურენტული და კომპანიის საქმიანობის მომგებიანობა და ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია აღნიშნულ მომწოდებელზე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კომპანიას გააჩნია სს „ლომისთან“ თითქმის 16 წლიანი საქმიანი ურთიერთობა და მენეჯმენტის განცხადებით არ არსებობს რაიმე მოლოდინი აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები.

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19– მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა. 2020 წლის ივნისიდან მაღაზიები გაიხსნა, თუმცა ქვეყანაში გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, 2020 წლის ნოემბერში მთავრობის გადაწყვეტილებით გამკაცრდა რეგულაციები და ყველა საცალო მაღაზია კვლავ დაიხურა. ამან გავლენა მოახდინა არა მხოლოდ კომპნიაზე (რომელიც დაფუძნდა 2020წლის მარტში), არამედ მთელ გაყიდვების სექტორზე საქართველოში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

შ.პ.ს. „ნატახტარი 2005“
თბილისი სარაჯიშვილი №20
ტელ: 955 32 35 58 65

შპს „ნატახტარი 2005“

L.T.D „NATAKHTARI 2005“
Tbilisi sarajishvili № 20
tel: 995 32 35 58 65

მმართველობითი აღრიცხვა,

საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

2020 წელს კომპანიამ შეინარჩუნა შემუშავებული პოლიტიკა და ცდილობს ბიზნესში არსებული პრობლემების და საქმიანობის შეფერხებების გადაჭრას:

1. შპს „ნატახტარი 2005“ წარმოადგენს წამყვან სადისტრიბუციო კომპანიას. კომპანიის მისია და მიზანია მწარმოებლის, სს „ლომისი“-ს მიერ წარმოებული პროდუქცია მიაწოდოს მომხმარებელს, ჰქონდეს ობიექტებთან სტაბილური და პარტნიორული ურთიერთობა, მოახდინოს პროდუქციის სწრაფი და მოქნილი მიწოდება.
2. კომპანიის საქმიანობის სახე არის დისტრიბუცია- მწარმოებლის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. კომპანიის ძირითადი სამოქმედო ბაზარია ქ. თბილისი. კომპანიის წილი ბაზარზე მერყეობს 35%-დან 40%-მდე, მიუხედავად ბაზარზე არსებული სხვა ძლიერი კონკურენტი კომპანიებისა.
3. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ვალუტის კურსის არასტაბილურობა სერიოზულ გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსებზე.
4. კომპანიის ძირითადი პროდუქცია არის სს „ლომისი“-ს მიერ წარმოებული ლუდი და ლიმონათი.
5. ბაზარზე პროდუქციის ღირებულება არ იქმნება კომპანიის მიერ, კომპანიის ფუნქციაა მხოლოდ პროდუქციის ტრანსპორტირება და მიწოდება ობიექტებზე.
6. მწარმოებლის- სს „ლომისი“-ს წარმომადგენლები, ობიექტებზე იღებენ შეკვეთებს და შესაბამისი სმარტფონების საშუალებით აგზავნიან შეკვეთას ერთიან სისტემაში, რის შემდგომ შპს „ნატახტარი 2005“-ის ოპერატორები სისტემაში ქმნიან დატვირთვის და რეალიზაციის შეკვეთებს, რომელიც ექსპედიტორების მეშვეობით რიგდება ობიექტებზე. ბაზარზე პროდუქციის ღირებულებას კი არეგულირებს მწარმოებელი - სს „ლომისი“ და თვითონ ობიექტები.
7. როგორც გასულ წლებში, მაგრამ 2020 წელს კონკურენცია გაიზარდა და ამან მკვეთრად იმოქმედა კომპანიის პროდუქციის გაყიდვებზე.
8. მნიშვნელოვან ცვლილებებს კომპანია ვერ განახორციელებს, რადგან მისი საქმიანობა მხოლოდ პროდუქციის მიწოდებაა, ცვლილებების განხორციელება უშუალოდ ქარხნის - სს „ლომისი“-ს ფუნქციაა.
9. კომპანიას არ აქვს ფილიალი. საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიას.

10. წინა პერიოდთან შედარებით კომპანიაში შემცირებულია გაყიდვები, სხვა მრავალი კონკურენტი კომპანიის სიმრავლის და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო.
11. კომპანიასი დასაქმებულები არიან კვალიფიციური კადრები, თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ასრულებენ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.
12. კომპანიაში დასაქმებულია 120 თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი კონტრაქტები კანონის სრული დაცვით. თითოეული თანამშრომელი სარგებლობს შრომის კოდექსით გათვალისიწნებული ყველა უფლებით.
13. ანტიკორუფციულ საკითხებთან მიმართებით კომპანიის მიდგომა არის ძალიან მკაცრი, ჯერჯერობით კომპანიაში არ გამოვლენილა მსგავსი ფაქტი, მაგრამ გამოვლენის შემთხვევაში კომპანია აუცილებლად განახორციელებს კანონთ გათვალისიწინებულ ღონისძიებებს.

ინფორაცია ძირითად რისკებზე და გაურკვევლობებზე:

1. კომპანიას რა თქმა უნდა ჰყავს კრედიტორებიც და დებიტორებიც. დებიტორები არიან ობიექტები- სადაც მოახდინა კომპანიამ პროდუქციის მიწოდება. აღნიშნული თანხების ამოღებას კომპანია ცდილობს კანონით გათვალისწინებული გზებით, მაგრამ არსებობს ობიექტებ, საიდანაც რთულია თანხების ამოღება იმ მიზეზით, რომ მათი უმრავლესობა დაკეტილი ან ლიკვიდირებულია და შესაბამისად მიმდინარეობს დავები.
2. მონიტორინგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახორციელებს გაყიდვების მენეჯერი და იურისტი, ხოლო ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით მონიტორინგის განმხორციელებელ პირებს აწვდიან პრესელერები ან ექსპედიტორები.
3. წინა პერიოდთან შედარებით რისკები უფრო მაღალია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკურენციის გაზრდის გარდა ბაზარზე, ქვეყანაში არსებული პანდემია აისახება კომპანიის საქმიანობაზე და შესაბამისად შემოსავალზეც.

შპს „ნატახტარი 2005"-ის

მენეჯმენტის სახელით:

გიორგი ქუთათელაძე

